საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ქ. ჭიათურაში შპს „მგტ"-ის მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს წარმადობის გაზრდის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო, კანონით დადგენილ დოკუმენტაციას. ამასთან, მოგახსენებთ, რომ დაგეგმილ საქმიანობას გავლილი აქვს სკოპინგის პროცედურა (2019 წლის, 25 ნოემბრის სკოპინგის დასკვნა N123).

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაძლებლობის შემთხვევაში შპს „ტმგტ"-ის სახელზე გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

1. გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანებართვო მოსაკრებლის მიმღები სახაზინო კოდი: 300773080);
2. დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში- 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელ. ვერსია;
3. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით);
4. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი- 3 ეგზემპლარი;
5. გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე -1 ეგზემპლარი;
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „მგტ"-ის რეგისტრაციის თაობაზე;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საწარმოს მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის კუთვნილების თაობაზე;
8. დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და საწარმოს განთავსების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები GIS -ის სისტემაში.

პატივისცემით,

შპს „მგტ"-ის დირექტორი

დავით ჩიხლაძე

საქართველო. შპს მ.გ.ტ. ГРУЗИЯ. ООО М.Г.Т. მ.გ.ტ. M.G.T. 215607010 GEORGIA. M.G.T. LTD

№ 14449 17 09 2020 1/5/ცხ